სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაცია“

მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოების დებულება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

მედიატორთა დისციპლინური საქმისწარმოებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს სსიპ „საქართველოს მედიატორთა ასოციაციის“ (შემდგომში - ასოციაცია) მედიატორთა ეთიკის კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) დარღვევის შემთხვევაში მედიატორის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების განხორციელების პროცედურას, რეკომენდაციის გაცემისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების წესს.

მუხლი 2. დისციპლინური საქმისწარმოების პრინციპები

2.1. ეთიკის კომისია საქმიანობას წარმართავს კეთილსინდისიერების, კონფიდენციალობის, დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების შესაბამისად.

2.2. ეთიკის კომისიისა და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული და კონფიდენციალურია. მედიატორის და საჩივრის წარმდგენი პირის ერთობლივი მოთხოვნის საფუძველზე განხილვის კოლეგიის სხდომა შეიძლება ჩატარდეს საჯაროდ. განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება აღნიშნული კოლეგიის სხდომის სრულად ან ნაწილობრივ გასაჯაროებაზე იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შესაძლებელია სხდომის ფარგლებში უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტულ მედიაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.

2.3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება საჯაროდ ქვეყნდება ასოციაციის სახელით. თუ გადაწყვეტილება შეეხება ცალკეული მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, გადაწყვეტილების გამოქვეყნება უნდა გამორიცხავდეს პროცესში მონაწილე პირთა იდენტიფიცირების შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არსებობს მედიაციის პროცესის მონაწილის/მონაწილეთა წერილობითი მოთხოვნა მისი/მათი ვინაობის გასაჯაროების თაობაზე.

2.4. ეთიკის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყების, დაწყებაზე უარის თქმის, საქმისწარმოების შეჩერების, სახდელის დაკისრების და საქმისწარმოების შეწყვეტის/დასრულების თაობაზე ქვეყნდება საჯაროდ ასოციაციის სახელით. თუ გადაწყვეტილება შეეხება ცალკეული მედიაციის პროცესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, გადაწყვეტილების გამოქვეყნება უნდა გამორიცხავდეს პროცესში მონაწილე პირთა (გარდა მედიატორისა) იდენტიფიცირების

შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მედიაციის პროცესის მონაწილის/მონაწილეთა წერილობითი მოთხოვნა მისი/მათი ვინაობის გამჟღავნების თაობაზე. მედიატორის ვინაობის, დაკისრებული სახდელის შესახებ ინფორმაციისა და პროცესის მონაწილეთა (მათივე თანხმობის საფუძველზე) ვინაობის გამოქვეყნება ხორციელდება ამავე დებულებით დადგენილი ვადით.

2.5. კომისიის წევრებმა და კომისიის საქმიანობის ადმინისტრირებასთან დაკავშირებულმა პირებმა არ უნდა გაასაჯაროონ დისციპლინურ საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მუხლი 3. ეთიკის კომისიის სტრუქტურა და მუშაობის ზოგადი წესი

3.1. დისციპლინურ საქმეს აწარმოებს ეთიკის კომისია (შემდგომში - კომისია).

3.2. კომისია დამოუკიდებელია ასოციაციის სხვა ორგანოებისა და მესამე პირებისაგან და საქმიანობას ახორციელებს ამ წესის, ასოციაციის წესდებისა და კოდექსის საფუძველზე.

3.3. კომისია შედგება 9 წევრისაგან, რომლებიც აირჩევიან ასოციაციის წესდებით დადგენილი წესით 4 წლის ვადით. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

3.4. კომისიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ირჩევენ კომისიის წევრები 4 წლის ვადით. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში სხდომას ხელმძღვანელობს მის მიერ უფლებამოსილი პირი.

3.5. კომისიის სხდომა ტარდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნეს თავმჯდომარის ან სულ მცირე კომისიის 3 წევრის მოთხოვნით. სხდომა ტარდება სხდომაზე კომისიის წევრთა უშუალო დასწრებით. კომისია უფლებამოსილია, ობიექტური საჭიროების გათვალისწინებით, მიიღოს გადაწყვეტილება ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით სხდომის ჩატარების თაობაზე.

3.6. კომისიის სხდომის ოქმი ფორმდება წერილობით. ოქმის სიზუსტის მიზნით შესაძლებელია კომისიის სხდომაზე შედგეს ხმოვანი ჩანაწერი, რომელიც ნადგურდება ოქმის წერილობით შედგენის შემდგომ. კომისიის სხდომის ოქმი შესაძლებელია გაცემულ იქნეს მედიატორზე შემდგომი გასაჩივრების მიზნებისათვის.

3.7. კომისიაში მოქმედებს სამი დისციპლინური კოლეგია, თითოეული - 3 წევრის შემადგენლობით. კომისიის თავმჯდომარე 1 წლის ვადით საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს კოლეგიების წევრთა შემადგენლობას, კოლეგიების ნუმერაციას და თავმჯდომარეებს.

3.8. კომისიის მუშაობის შიდა პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, დგინდება კომისიის მიერ.

მუხლი 4. დისციპლინური წარმოების ეტაპები

4.1. კომისიის ფარგლებში მედიატორის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოება ხორციელდება არაუმეტეს ორ ეტაპად: მოკვლევისა და განხილვის დისციპლინურ კოლეგიებში.

4.2. მომკვლევი კოლეგიის წევრმა არ შეიძლება მონაწილეობა მიიღოს იმავე საქმის განმხილველი კოლეგიის მუშაობაში.

მუხლი 5. მომკვლევი კოლეგია

5.1. თითოეული დისციპლინური კოლეგია ახორციელებს მომკვლევი კოლეგიის ფუნქციას 4 თვის განმავლობაში მიმდევრობითი რიგითობით, დისციპლინური კოლეგიების ნუმერაციის შესაბამისად.

5.2. მომკვლევ კოლეგიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ანაწილებს საქმეებს წევრებს შორის, იწვევს და თავმჯდომარეობს სხდომებს.

5.3. იმ შემთხვევაში, თუ მომკვლევი კოლეგიის რომელიმე წევრი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ავადმყოფობის, აცილების/თვითაცილების ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე კონკრეტული საქმის განხილვის ვადით კომისიის სხვა წევრთაგან ნიშნავს კოლეგიის მესამე წევრს ანბანური რიგითობით.

5.4. მომკვლევი კოლეგიის სხდომები და საპროცესო მოქმედებები როგორც წესი ტარდება კოლეგიურად. კოლეგიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია საქმის მოკვლევა ან ცალკეული საპროცესო მოქმედების განხორციელება დაევალოს კოლეგიის ერთ ან რამდენიმე წევრს.

5.5. კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილებას ხელს აწერს მომკვლევი კოლეგიის ყველა წევრი. მომკვლევი კოლეგიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობით დაერთვის გადაწყვეტილებას.

5.6. კოლეგიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით. მომკვლევი კოლეგია იღებს ერთ-ერთ შესაძლო გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყების, დევნის დაწყებაზე უარის თქმის ან საქმისწარმოების შეჩერების ან შეწყვეტის თაობაზე. მომკვლევი კოლეგიის მიერ მედიატორის მიმართ

დისციპლინური დევნის დაწყებაზე უარის თქმის შემთხვევაში, დისციპლინური წარმოება სრულდება.

მუხლი 6. განმხილველი კოლეგია

6.1. მომკვლევი კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების საფუძველზე საქმისწარმოება გრძელდება განმხილველ კოლეგიაში.

6.2. განმხილველ კოლეგიას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ანაწილებს საქმეებს წევრებს შორის, იწვევს და თავმჯდომარეობს სხდომებს.

6.3. განმხილველი კოლეგიებს დისციპლინური საქმეები გადაეცემათ განსახილველად მიმდევრობითი რიგითობით, დისციპლინური კოლეგიების ნუმერაციის შესაბამისად. თუ კონკრეტულ საქმეზე განხილვის კოლეგია ასრულებდა მომკვლევი კოლეგიის ფუნქციას, ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ დისციპლინური საქმე გადაეცემა განხილვის კოლეგიას, რომელიც მომდევნოა ნუმერაციაში.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ განხილვის კოლეგიის წევრი ვერ ახორციელებს თავის უფლებამოსილებას ავადმყოფობის, აცილების/თვითაცილების ან სხვა საპატიო მიზეზის გამო, ეთიკის კომისიის თავმჯდომარე კონკრეტული საქმის განხილვის ვადით კომისიის სხვა წევრთაგან ანბანური რიგითობის წესით ნიშნავს კოლეგიის მესამე წევრს.

6.5. განხილვის კოლეგია იღებს ერთ-ერთ შესაძლო გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერების, შეწყვეტის, დისციპლინური სახდელის დაკისრების, დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების (კონფიდენციალური რეკომენდაციის) გამოყენების ან დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე.

6.6. განმხილველი კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე მომკვლევი კოლეგიის გადაწყვეტილების მისთვის გადაცემიდან 3 თვის განმავლობაში.

6.7. განმხილველი კოლეგია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სამივე წევრი. კოლეგიის გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით. კოლეგიის წევრი არ სარგებლობს კენჭისყრისას ხმის მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით. კოლეგიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს ყველა წევრი. განხილვის კოლეგიის წევრის განსხვავებული აზრი წერილობით დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 7. დისციპლინურ განხილვაში მონაწილეობის დაუშვებლობა

7.1. დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს კომისიის წევრი, თუ:

7.1.1. საჩივრის ავტორია;

7.1.2. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე პირის ახლო ნათესავია. ამ წესის მიზნებისთვის ახლო ნათესავად მიიჩნევა კანონისმიერი მემკვიდრე.

7.1.3. აქვს მედიატორთან ან მის წარმომადგენელთან ისეთი პროფესიული, ეკონომიკური ან / და პირადი ურთიერთობა რომელიც ქმნის დასაბუთებულ ეჭვს მის მიუკერძოებლობასთან ან დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

7.1.4. ამავე საქმეზე მონაწილეობდა მომკვლევი კოლეგიის წევრად.

7.2. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს თვითაცილება ამ მუხლით აღნიშნული რომელიმე გარემოების არსებობისას. განცხადება თვითაცილების თაობაზე კმაყოფილდება თუ მას დასაბუთებულად მიიჩნევს კოლეგიის დანარჩენი ორი წევრი. განხილვაში არ მონაწილეობს კოლეგიის წევრი, რომელმაც განაცხადა აცილება.

7.3. დისციპლინური კოლეგიის წევრის/კოლეგიის აცილება შეიძლება მოითხოვოს მხარემ კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე წერილობით დასაბუთებული განცხადებით. კოლეგიის წევრის აცილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კოლეგიის იმ წევრის მონაწილეობის გარეშე, რომლის მიმართაც გაცხადებულია აცილება. გადაწყვეტილება მიიღება თუ აცილებას დასაბუთებულად მიიჩნევს განხილვაში მონაწილე კოლეგიის ორივე წევრი.

7.4. თუ აცილება მიმართულია კოლეგიის ყველა წევრის მიმართ, მაშინ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე იღებს კოლეგია სრული შემადგენლობით. გადაწყვეტილება მიიღება თუ მას მხარს დაუჭერს კოლეგიის 2 წევრი.

7.5. მომკვლევი კოლეგიის წევრის/კოლეგიის აცილება შესაძლებელია საქმისწარმოების მხარის მიერ მოთხოვნილ იქნეს ასევე მომკვლევი კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდგომაც (განმხილველი კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე) აცილების საფუძვლის არსებობის შეტყობისთანავე, თუ აღნიშნული საფუძველი აცილების ინიციატორი მხარისთვის არ იყო ცნობილი ან მას არ შეიძლებოდა გონივრულად სცოდნოდა მომკვლევი კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე. მომკვლევი კოლეგია ამავე მუხლის მე-3 ქვეპუნქტით დადგენილი წესით იღებს გადაწვეტილებას აცილების მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე.

7.6. თუ მომკვლევი კოლეგიის უფლებამოსილი შემადგენლობა დასაბუთებულად მიიჩნევს, რომ არსებობს აცილების გონივრული, ობიექტური საფუძველი და ასევე საფუძვლიანი ეჭვი, რომ მოკვლევა და დისციპლინური დევნის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება აცილებული კოლეგიის წევრის/კოლეგიის მონაწილეობით მიუკერძოებლად და ობიექტურად ვერ განხორციელდებოდა, კოლეგიის უფლებამოსილი შემადგენლობა

მიიღებს გადაწყვეტილებას მოკვლევის განმეორებით ჩატარების თაობაზე. შესაბამისად გამოიყენება მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი.

7.7. თუ მომკვლევი კოლეგიის აცილების საფუძველი გამოვლინდება განმხილველი კოლეგიის მუშაობის პროცესში, განმხილველი კოლეგია შეაჩერებს მუშაობას აცილების საკითხსა და განმეორებითი მოკვლევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ საქმეზე ჩატარდება განმეორებითი მოკვლევა, განხილველი კოლეგიის მუშაობისთვის გათვალისწინებული 3-თვიანი ვადის ხელახალი ათვლა მომკვლევი კოლეგიისგან ახალი გადაწყვეტილების ჩაბარების მომენტიდან დაიწყება.

7.8. თუ აცილებული კომისიის წევრი არ იყო ჩართული მოკვლევის განხორციელებასა და კოლეგიის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან მას ჰქონდა კომისიის დანარჩენი ორი წევრის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებული აზრი, კოლეგია უფლებამოსილია დააკმაყოფილოს აცილების მოთხოვნა მხოლოდ იმ ფარგლებით, რომ აცილებულ პირს განმხილველი კოლეგიის სხდომაზე შეეზღუდოს მომკვლევი კოლეგიის წარმომადგენლობა. ამ შემთხვევაში აღარ იარსებებს მოკვლევის განმეორებით ჩატარების საფუძველი.

მუხლი 8. დისციპლინური საქმისწარმოების ინიცირება

დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც აქვს ინფორმაცია მედიატორის მხრიდან კოდექსის შესაძლო დარღვევის თაობაზე.

მუხლი 9. საჩივარი

9.1. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით განცხადება წარედგინება კომისიას წერილობითი ფორმით.

9.2. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს:

9.2.1. განმცხადებლის ვინაობა, მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი);

9.2.2. თუ განმცხადებელს ჰყავს წარმომადგენელი განმცხადებლის წარმომადგენლის ვინაობა, მისამართი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი).

9.2.3. იმ მედიატორის ვინაობა, რომლის წინააღმდეგაც წარმოდგენილია განცხადება;

9.2.4. გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომელსაც ემყარება მედიატორის მიერ კოდექსის დარღვევის ვარაუდი.

9.2.5. საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე, მოწმეთა არსებობის შემთხვევაში, მოწმეთა ვინაობისა და საკონტაქტო მონაცემების

შესახებ ინფორმაცია, თუ მათ შეუძლიათ საჩივარში მითითებული გარემოებების დადასტურება;

9.2.6. განმცხადებლის ხელმოწერა.

9.3. თუ საჩივარი შევსებულია წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტების დაცვით, საჩივარი დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების მოთხოვნით თარიღისა და ნომრის მითითებით რეგისტრირდება ასოციაციის შესაბამის რეესტრში და ეგზავნება კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც 3 სამუშაო დღის ვადაში გადასცემს საჩივარს უფლებამოსილ მომკვლევ კოლეგიას.

9.4. თუ საჩივარი არ არის შევსებული წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტების დაცვით, განმცხადებელს დადგენილი ხარვეზის გამოსწორების მიეცემა გონივრული ვადა.

მუხლი 10. უარი დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე

10.1. კომისია უარს ამბობს საჩივრის წარმოებაში მიღებაზე თუ:

10.1.1. წარმოდგენილი საჩივარი არ აკმაყოფილებს დებულების მე-9 მუხლის მოთხოვნებს ან /და არ იქნა შევსებული დადგენილი ხარვეზი.

10.1.2. არსებობს კოლეგიის გადაწყვეტილება იმავე საქმეზე და იმავე საფუძვლით.

10.1.3. დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღიდან ეთიკის კომისიისთვის მიმართვის დღემდე გასულია 3 წელი.

10.2. კომისიის უარი განმცხადებელს ეცნობება წერილობით 10 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 11. დისციპლინური სამართალწარმოების შეჩერება და შეწყვეტა

11.1. დისციპლინურ კოლეგიას უფლება აქვს, შეაჩეროს საქმის წარმოება, თუ:

11.1.1. არსებობს/წარმოიშვა ისეთი ობიექტური გარემოებები (სამედიცინო დაწესებულების მიერ დადასტურებული მედიატორის/მოწმის ავადმყოფობა, აკადემიური/სამსახურებრივი მივლინებაში ყოფნა, მოკვლევის განმეორებითი ჩატარების საჭიროება მომკვლევი კოლეგიის წევრის/კოლეგიის აცილების გამო, მტკიცებულებების შეგროვების ობიექტური შეუძლებლობა და სხვა), რომელიც კომისიის გონივრული შეფასებით შეუძლებელს ხდის წარმოების გაგრძელებას.

11.1.2. მედიატორის მიმართ ეთიკის კომისიის წარმოებაშია დისციპლინური საქმე, რომელიც ინიცირებულია სხვა პირის მიერ და რომლის შედეგებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებაზე.

11.1.3. მედიატორი სასამართლომ ცნო შეზღუდულ ქმედუნარიანად ან მხარდაჭერის მიმღებ პირად, აღიარა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გამოაცხადა გარდაცვლილად;

11.2. თუ მედიატორის ქმედებაში აშკარაა დანაშაულის ნიშნები, ამ შემთხვევაში საქმე კოლეგიის გადაწყვეტილებით ეგზავნება შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს დისციპლინური საქმისწარმოების შეჩერების გარეშე.

11.3. ამ მუხლის 1-ელი პუნქტის 11.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას საქმისწარმოება უნდა შეჩერდეს ამ საფუძვლის არსებობის ვადით, მაგრამ არა უმეტეს 6 თვისა. თუ ამ ვადის განმავლობაში არ აღმოიფხვრება შეჩერების საფუძველი, კომისია საქმისწარმოებას აგრძელებს პროცესის შესაბამისი მონაწილის გარეშე. ამ მუხლის 11.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას, საქმისწარმოება შეჩერდება შესაბამისი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე. ამავე მუხლის 11.1 3 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეჩერებული საქმისწარმოება განახლდება თუ პირს აღუდგება მედიატორის სტატუსი.

11.4. საქმისწარმოების შეჩერების ხანგრძლივობა არ ჩაითვლება დისციპლინური წარმოების წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ ვადაში.

11.5. იმ შემთხვევაში, თუ მედიატორს დისციპლინური წარმოების დაწყების შემდეგ შეუწყდება ასოციაციის წევრობა, დისციპლინური წარმოება დასრულდება, ხოლო სახდელის აღსრულება გადავადდება მედიატორის მიერ წევრობის აღდგენამდე.

11.6. კომისია ვალდებულია, შეწყვიტოს საქმისწარმოება, თუ მედიატორს შეუწყდა მედიატორის სტატუსი შემდეგი საფუძვლებით:

11.6.1. თუ პირი გარდაიცვალა.

11.6.2. მედიატორის მიმართ ძალაში შევიდა გამამტყუნებელი განაჩენი.

11.7. შესაბამისი კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ განცხადების შეტანის თარიღამდე გასული იყო ხანდაზმულობის ვადა ან არსებობს წარმოების შეწყვეტის სხვა კანონისმიერი საფუძველი.

11.8. განცხადების შემომტანი პირის უარი საჩივარზე არ არის დისციპლინური დევნის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 12. პირთა მოწვევა მომკვლევი კოლეგიის სხდომაზე

12.1. დისციპლინური კოლეგიისთვის საქმის გადაცემის შემდეგ საჩივრის და თანდართული დოკუმენტების ასლები გადაეცემა მედიატორს. მას შეტყობინება ბარდება ასოციაციის

მონაცემთა ბაზაში არსებულ მედიატორის მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან ტელეფონზე, ასევე სხვა მისამართზე, რომლის თაობაზეც კოლეგია ინფორმირებულია. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, მაშინაც თუ მედიატორი აღარ იმყოფება მითითებულ მისამართზე ან მან უარი განაცხადა შეტყობინების ჩაბარებაზე.

12.2. მედიატორი უფლებამოსილია საჩივრის მისთვის გადაცემიდან კოლეგიის მიერ განსაზღვრულ ვადაში (არანაკლებ 10 კალენდარული დღისა) კოლეგიას წარუდგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება.

12.3. მოწმეებს, ექსპერტებსა და თარჯიმნებს (მათი არსებობის შემთხვევაში), ასევე მედიატორს შეტყობინების გზით სხდომამადე გონივრული ვადით ადრე (არანაკლებ 7 კალენდარული დღისა) ეცნობებათ მომკვლევი კოლეგიის სხდომის დრო და ადგილი. შეტყობინება შეიძლება განხორციელდეს ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით, რომელიც იძლევა კომუნიკაციის განხორციელების შესახებ მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობას.

მუხლი 13. მოკვლევის განხორციელების წესი

13.1. მომკვლევი კოლეგია (კოლეგიის მიერ უფლებამოსილი წევრი/წევრები):

13.1.1. გამოკითხავს საჩივრის წარმდგენ პირს და მედიატორს, შესთავაზებს მათ დამატებითი მტკიცებულებების წარდგენას.

13.1.2. მოკვლევის პროცესში ნებისმიერი პირის გამოკითხვის შედეგი, მოპოვებული მტკიცებულებები, ახსნა-განმარტებები ფორმდება წერილობით და დაერთვის საქმეს მტკიცებულების სახით.

13.1.3. საჩივრის წარმდგენი პირისა და მედიაციის პროცესის მონაწილეთა წერილობითი თანხმობით დამოუკიდებლად მოიპოვებს მტკიცებულებებს (მოწმის, თანა-მედიატორის, მხარეთა წარმომადგენლების, მედიაციის ადმინისტრირების დაწესებულების თანამშრომლების, დამხმარე პერსონალისა და სხვა პირთა გამოკითხვა), რაც ასევე შეიძლება ეხებოდეს მედიაციის პროცესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაციის მოძიებას.

13.1.4. მომკვლევი კოლეგიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებების (მათ შორის მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებების) შესახებ საჩივრის ავტორსა და მედიატორს უნდა მიეცეთ გონივრული ვადა (არანაკლებ 10 კალენდარული დღისა) ახსნა-განმარტების წარდგენის/მტკიცებულებათა გაქარწყლებისთვის.

13.1.5. მოკვლევის კოლეგია არ გაითვალისწინებს კანონის დარღვევით მოპოვებულ მტკიცებულებებს, მედიაციის პროცესზე განხორციელებულ ფარულ ვიდეო/აუდიო ჩანაწერს.

13.2. კოლეგიას შეუძლია განახორციელოს სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია საქმის სრულფასოვანი შესწავლისთვის. მედიაციის პროცესთან დაკაშირებული ინფორმაციის გამოკვლევის ნაწილში ყოველთვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს მედიაციის პროცესის მონაწილეთა თანხმობა ამგვარი მტკიცებულებების კომისიის ინიციატივით მოპოვებაზე.

13.3. მედიატორი უფლებამოსილია გაამჟღავნოს მედიაციის პროცესთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია საქმისწარმოების ფარგლებში თუ აღნიშნული მისი სამართლებრივი ინტერესების დაცვისთვისაა აუცილებელი.

13.4. ხარჯები, რომელიც დაკავშირებულია მედიატორის ან საჩივრის წარდგენი პირის ინიციატივით მოწვეული თარჯიმნის, სპეციალისტისა და მოწმის მოწვევასთან, დაფარულ უნდა იქნეს ინიციატორი პირის მიერ. დისციპლინური წარმოების სხვა შესაძლო ხარჯი ეკისრება ასოციაციას.

13.5. მომკვლევი კოლეგია უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით გააერთიანოს საქმეები, რომლებიც ინიცირებულია ერთი და იმავე საქმეზე და ერთი და იმავე მედიატორის წინააღმდეგ.

13.6. მომკვლევი კოლეგია გადაწყვეტილებას იღებს საჩივრის მიღებიდან 3 თვის ვადაში.

მუხლი 14. მომკვლევი კოლეგიის გადაწყვეტილება

14.1. თუ წარდგენილი და მოკვლეული მტკიცებულებების საფუძველზე მომკვლევი კოლეგია მიიჩნევს, რომ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი მედიატორის მიერ კოდექსის დარღვევის შესახებ, კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის დაწყებისა და საქმის განმხილველი კოლეგიისათვის გადაცემის თაობაზე.

14.2. მომკვლევი კოლეგიის მიერ არ დაიწყება დისციპლინური საქმისწარმოება თუ საჩივარში მითითებული საქმის გარემოებათა დადასტურების შემთხვევაშიც კი მედიატორის ქმედება არ ჩაითვლება დისციპლინურ გადაცდომად.

14.3. მომკვლევი კოლეგიის მიერ დისციპლინური დევნის დაწყების / დაწყებაზე უარის თქმის/შეწყვეტის და საქმისწარმოების შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებები უნდა იყოს დასაბუთებული და ხელმოწერილი მომკვლევი კოლეგიის სულ მცირე 2 წევრის მიერ. კოლეგიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კოლეგიას წარუდგენს წერილობით, პირადად ხელმოწერილ მოსაზრებას, რომელიც თან ერთვის კომისიის გადაწყვეტილებას. კოლეგიის წევრის წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი წარმოადგენს კომისიის გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს. კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება (საქმეში არსებულ მტკიცებულებებთან ერთად) მისი მიღებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ეგზავნება მედიატორს და საჩივრის წარმდგენ პირს.

14.4. თუ გადაწყვეტილება ითვალისწინებს საქმისწარმოების დაწყებას, გადაწყვეტილება და საქმეში არსებული დოკუმენტაცია ეგზავნება კომისიის თავმჯდომარეს, რომელიც 3 სამუშაო დღის განმავლობაში გადასცემს საქმეს უფლებამოსილ განმხილველ კოლეგიას.

14.5. მომკვლევი კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

მუხლი 15. განხილველ კოლეგიაზე პირთა მოწვევა

15.1. მედიატორის, საჩივრის წარმდგენი პირის, წარმომადგენლის, თარჯიმნის, მოწმის, მომკვლევის კოლეგიის წარმომადგენელი წევრის განმხილველ კოლეგიაზე მოწვევის მიზნით შეტყობინება შესაბამის პირებს უნდა ჩაბარდეთ სხდომამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე.

15.2. პროცესში მონაწილე პირთა დაბარება შესაძლებელია ფოსტით, ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებით, რომელიც იძლევა კომუნიკაციის განხორციელების შესახებ მტკიცებულების შექმნის შესაძლებლობას.

15.3. შეტყობინება მედიატორს ბარდება ასოციაციის მონაცემთა ბაზაში არსებულ მედიატორის მისამართზე, ელექტრონულ ფოსტაზე ან ტელეფონზე, ასევე სხვა მისამართზე, რომლის თაობაზეც კომისია ინფორმირებულია. შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება, მაშინაც თუ მედიატორი აღარ იმყოფება მითითებულ მისამართზე ან მან უარი განაცხადა შეტყობინების ჩაბარებაზე.

მუხლი 16 დისციპლინური განხილვის მხარეები

16.1 დისციპლინური განხილვის მხარეები არიან ასოციაცია და მედიატორი, რომლის მიმართაც დაწყებულია დევნა.

16.2 ასოციაციას დისციპლინურ განხილვაში წარმოადგენს მომკვლევი კოლეგიის გადაწყვეტილებით უფლებამოსილი მომკვლევი კოლეგიის წევრი/წევრები.

16.3 მედიატორს უფლება აქვს განხილვაში მონაწილეობა მიიღოს წარმომადგენლის მეშვეობით.

16.4 დისციპლინური განხილვისას მხარეებს უფლება აქვთ გაეცნონ საქმის მასალებს, გადაიღონ ასლები, განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებსა და ექსპერტებს, განაცხადონ შუამდგომლობები, წარადგინონ ზეპირი და წერილობითი განმარტებები, გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, მათ შორის, იმ საკითხებზე, რომლებზეც განხილვის კოლეგია მიუთითებს, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები და მოსაზრებები და ისარგებლონ ამ წესით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

მუხლი 17. დისციპლინური განხილვის სხდომა

17.1 დისციპლინური განხილვა ტარდება მხარეთა ზეპირი მოსმენით მიუკერძოებლობის, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვით. მედიატორის შუამდგომლობით შესაძლებელია განხილვა ჩატარდეს ზეპირი მოსმენის გარეშე.

17.2 განხილვის კოლეგია იღებს ზომებს საქმის ზეპირი განხილვისთვის მოსამზადებლად; ამისათვის მხარეებს განუსაზღვრავს პოზიციების და მტკიცებულებების წარმოსადგენად ვადებს და განსაზღვრავს სხვა საპროცესო საკითხებს.

17.3 განხილვის კოლეგიის სხდომაში მონაწილეობის უფლება აქვთ მედიატორს, მედიატორის წარმომადგენელს, მათივე მოთხოვნით თარჯიმნებს. საჩივრის წარმდგენ პირს, მისი მოთხოვნის შემთხვევაში აქვს სხდომაზე დასწრების უფლება. განმხილველ კოლეგიას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით სხდომაზე მოიწვიოს მოწმეები, საჩივრის წარმდგენი პირი, სპეციალისტი.

17.4 მედიატორის შუამდგომლობით შესაძლებელია განხილვა ჩატარდეს მისი მონაწილეობის გარეშე. ასეთ შემთხვევაშიც მომკვლევი კოლეგიის წარმომადგენლის/წარმომადგებლების მონაწილეობა დისციპლინური განხილვაში აუცილებელია საქმის გარემოებებისა და მტკიცებულებების განმხილველი კოლეგიისთვის ზეპირი წარდგენის მიზნით.

17.5 მედიატორის, მოწვეული მოწმის, მოწვეული სპეციალისტის, მოწვეული საჩივრის წარმდგენი პირის მიერ დისციპლინური განხილვის სხდომაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს გადაწყვეტილების მიღებას. ამ შემთხვევაში კოლეგია განიხილავს საკითხს გადადოს სხდომა თუ გააგრძელოს სხდომა აღნიშნული პირის/პირთა დასწრების გარეშე.

17.6 დისციპლინური განხილვის სხდომაზე მედიატორის საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში დისციპლინური საქმის განხილვა გადაიდება არაუმეტეს 14 კალენდარული დღის ვადით. საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მედიატორი ვალდებულია მიუთითოს საქმის განხილვის მისთვის მისაღები 3 თარიღი. იმ შემთხვევაში თუ მედიატორი სხდომის გადადებიდან არაუგვიანეს 5 დღისა არ წარმოადგენს მისთვის მისაღებ თარიღებს, ეთიკის კომისია საკუთარი გადაწყვეტილებით ჩანიშნავს სხდომას ასეთ შემთხვევაში მედიატორის მიერ სხდომაზე განმეორებით გამოუცხადებლობა არ აბრკოლებს საქმის განხილვას.

17.7 დისციპლინური განხილვის სხდომას ხელმძღვანელობს დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარე. თავმჯდომარე ხსნის სხდომას, აცხადებს განხილვის კოლეგიის შემადგენლობას, ასახელებს სხდომის მდივნის ვინაობას და დისციპლინურ საქმეს, რომელსაც განიხილავს კოლეგია.

17.8 სხდომის მდივანი მოახსენებს განმხილველ კოლეგიას გამოცხადებულ პირთა ვინაობას, ასევე ინფორმაციას რომელიმე მხარის გამოუცხადებლობის და მისთვის შეტყობინების ჩაბარების თაობაზე.

17.9 კოლეგიის თავმჯდომარე განუმარტავს მხარეებს ეთიკის კომისიის რომელიმე წევრის ან მთელი კოლეგიის აცილების უფლებას, ასევე შუამდგომლობების და დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის და წარმომადგენლის ყოლის უფლებას.

17.10 დისციპლინური განხილვისას მხარეებს უფლება აქვთ განაცხადონ აცილებანი, წარადგინონ მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვან მოწმეებსა და ექსპერტებს, განაცხადონ შუამდგომლობები, წარადგინონ ზეპირი და წერილობითი განმარტებები, გამოთქვან მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, მათ შორის, იმ საკითხებზე, რომლებზეც განხილვის კოლეგია მიუთითებს, უარყონ მეორე მხარის შუამდგომლობები და მოსაზრებები და ისარგებლონ ამ წესით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებებით.

17.11 განმხილველ კოლეგიას უფლება აქვს საკუთარი ინიციატივით შეკითხვებით მიმართოს მოწმეებს, საჩივრის წარმდგენ პირს, ექსპერტს, ასევე მისცეს პროცესის მხარეებს მათთვის შეკითხვის დასმის უფლება. თუ მხარის მიერ დასმული შეკითხვა შეუფერებელია და არ ემსახურება საქმის გარემოებების გამოკვლევას, განმხილველ კოლეგიას საკუთარი ინიციატივით ან მეორე მხარის შუამდგომლობის საფუძველზე შეუძლია მოხსნას აღნიშნული შეკითხვა.

17.12 მხარეთა ახსნა-განმარტების, მოწმეთა და სპეციალისტთა, ასევე საჩივრის წარმდგენი პირის (სხდომაზე მათი დასწრების შემთხვევაში) მოსმენის შემდეგ, განხილვის კოლეგია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით განიხილოს და შეამოწოს სადავო ფაქტებთან დაკავშირებული მტკიცებულებები.

17.13 განხილვის კოლეგიის სხდომის დასასრულს, მხარეებს უფლება აქვთ გამოვიდნენ შემაჯამებელი სიტყვით, ამასთან ბოლო შემაჯამებელ სიტყვას წარმოთქვამს მედიატორი და კოლეგიის თავმჯდომარის მიერ სხდომა ცხადდება დახურულად, რის შემდეგაც მხარეთა დამატებითი პოზიციების და მტკიცებულებები აღარ მიიღება.

17.4 განხილვის კოლეგიის მიერ მიღებული დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება ეგზავნებათ მხარეებს და საჩივრის წარმდგენ პირს.

მუხლი 18 განმხილველი კოლეგიის სხდომის ოქმი

18.1. განმხილველი კოლეგიის სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

18.2. სხდომის ოქმში უნდა აღინიშნოს:

18.2.1. სხდომის წელი, თვე, რიცხვი და ადგილი;

18.2.2. სხდომის დაწყების და დამთავრების დრო;

18.2.3. კოლეგიის შემადგენლობა და სხდომის მდივანი;

18.2.4. დისციპლინური საქმის დასახელება და სარეგისტრაციო ნომერი, საპროცესო კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი;

18.2.5. სხდომაზე წარმოდგენილი მხარეებისა და სხვა პირების ვინაობას;

18.2.6. მხარეთა და მათ წარმომადგენელთა ახსნა-განმარტებებს და შეკითხვებზე პასუხი;

18.2.7. მოწმეთა ჩვენებები, მტკიცებულებების გამოკვლევის მონაცემები;

18.2.8. მხარეთა შემაჯამებელი განცხადებების შინაარსი.

18.3. მხარეებს და მათ წარმომადგენლებს უფლება აქვთ იშუამდგომლონ ოქმში იმ გარემოებათა შეტანის თაობაზე, რომელსაც მათი აზრით საქმისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს.

18.4. წერილობითი ოქმის სიზუსტის მიზნებისათვის შესაძლებელია აუდიო ჩანაწერის ან სხვა ტექნიკური საშუალების გამოყენებით სხდომის მიმდინარეობის ჩაწერა.

18.5. სხდომის ოქმი თან ერთვის დისციპლინურ საქმეს.

18.6. სხდომის ოქმი შესაძლებელია გამოითხოვოს მედიატორმა/წარმომადგენელმა.

მუხლი 19. კომისიის გადაწყვეტილება

19.1. განხილველი კოლეგიის გადაწყვეტილება შედგება შესავალი, აღწერილობითი, სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან:

19.1.1. შესავალ ნაწილში აღინიშნება გადაწყვეტილების მიღების დრო და ადგილი, გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს დასახელება და კოლეგიის შემადგენლობა, დისციპლინური დევნის დამწყები კოლეგიის წევრთა და მედიატორის ვინაობა;

19.1.2. გადაწყვეტილების აღწერილობით მიეთითება დისციპლინური საქმისწარმოების ისტორია, მომკვლევი კოლეგიისა და მედიატორის პოზიციები.

19.1.3. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში აღინიშნება დებულებები, რომლებითაც იხელმძღვანელა დისციპლინურმა კომისიამ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, აგრეთვე გარემოებები, რომლებსაც ემყარება კოლეგიის დასკვნები;

19.1.4. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს დასკვნას მედიატორის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ან არჩადენის შესახებ. დარღვევის დადგენის შემთხვევაში სარეზოლუციო ნაწილში მიეთითება მედიატორის მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელის სახე ან გამოყენებული დისციპლინური ზემოქმედების ზომა, აგრეთვე გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და წესი.

19.2. წევრის განსხვავებული აზრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, დაერთვის გადაწყვეტილებას.

მუხლი 20. დისციპლინური სახდელები და დისციპლინური რეკომენდაცია

20.1. კოდექსის დარღვევის შემთხვევაში კომისია იყენებს შემდეგ დისციპლინური პასუხისმგებლობის შემდეგ ზომებს, სახდელებს:

20.1.1. გაფრთხილება;

20.1.2. ასოციაციის წევრობის შეჩერება 1 (ერთი) წლამდე ვადით.

20.1.3. ასოციაციიდან გარიცხვა 3 წლის შემდეგ ხელახლა მიმართვის უფლებით;

20.1.4. ასოციაციიდან გარიცხვა ხელახლა მიმართვის უფლების გარეშე.

20.2. კომისიას აქვს დისციპლინური ზემოქმედების ზომის გამოყენების - კონფიდენციალური რეკომენდაციის გაცემის უფლებაც, რაც არ მიიჩნევა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად.

20.3. დისციპლინური გადაცდომისთვის მედიატორს შეიძლება დაეკისროს მხოლოდ ერთი სახის დისციპლინური სახდელი ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება.

20.4. დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას გადაცდომის სახე, პროფესიისადმი მიყენებული ზიანი, მედიატორის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, მედიატორის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია კოდექსის მიზნების მისაღწევად.

მუხლი 21. დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა

21.1. დისციპლინური სახდელის გაქარწყლებამდე, მედიატორის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენა, როგორც წესი, გამოიწვევს უფრო მძიმე დისციპლინური სახდელის დაკისრებას, ვიდრე მედიატორისთვის წინა დისციპლინური გადაცდომის გამო დაკისრებული დისციპლინური სახდელი იყო.

მუხლი 22. დისციპლინური სახდელის გაქარწყლება

22.1. ამ წესის მე-20 მუხლის 20.1.1. ქვეპუნქტით20.1.1 გათვალისწინებული დისციპლინური სახდელი გაქარწყლდება მისი დაკისრებიდან 1 წლის გასვლის შემდეგ, ხოლო 23-ე მუხლის 20.1 მუხლის 20.1.2 და 20.1.3. ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სახდელები - წევრობის აღდგენიდან 2 წლის შემდეგ.

22.2. გაქარწყლების შემდეგ მედიატორის მიერ განმეორებით ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის გამო დისციპლინური სახდელის დაკისრებისას მხედველობაში არ მიიღება გაქარწყლებული დისციპლინური სახდელი.

მუხლი 23. მედიატორის გამამართლებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

მედიატორის მიმართ გამოტანილი გამამართლებელი გადაწყვეტილება საბოლოოა.

მუხლი 24. მედიატორის გამამტყუნებელი გადაწყვეტილების გასაჩივრება

კომისიის გადაწყვეტილება მედიატორისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში მედიატორისთვის მისი ჩაბარებიდან ----- კანონით დადგენილ ვადაში და დადგენილი წესით.

მუხლი 25. გადაწყვეტილების აღსრულება და საჯაროობა

25.1. კომისიის გადაწყვეტილება ძალაში შედის გასაჩივრების ვადის გასვლისთანავე ან, მედიატორის მიერ მისი გასაჩივრების შემთხვევაში, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლისთანავე.

25.2. კომისიის გადაწყვეტილებების აღსრულებას უზრუნველყოფს ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო.

25.3. დისციპლინური წარმოების დასრულების შემდეგ კომისიის გადაწყვეტილება ასოციაციის ვებგვერდზე განთავსებული იქნება 6 თვის განმავლობაში გაფრთხილების დაკისრებისას, 1 წლის განმავლობაში წევრობის შეჩერებისას, 3 წლის განმავლობაში წევრობის ხელახალი მიმართვის უფლებით შეწყვეტისას და 5 წლის განმავლობაში წევრობის ხელახალი მოთხოვნის გარეშე შეწყვეტისას.

მუხლი 26. გარდამავალი / დასკვნითი დებულებები

26.1. დისციპლინური საქმის მასალები ინახება ასოციაციაში დისციპლინურ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან 5 წლის განმავლობაში.

26.2. ამოქმედების ვადა: დამტკიცებისთანავე.